ემზადებიან ევროპული ტურნირებისთვის

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 22 თებერვალი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 5:0 (3:0).

“დინამო”: გაბელია (იმნაძე), მუჯირი, ჩივაძე, მელიქია, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

“სპარტაკი”: პრუდნიკოვი, მოროზოვი, მირზოიანი, სამოხინი, რომანცევი, შავლო, კალაშნიკოვი, შვეცოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი (კრესტენენკო).

მსაჯი: ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

გასული კვირის საწვრთნელი მატჩის მონაწილეებს სულ მალე, 4 მარტს, ევროპის საკლუბო გათმაშებათა მეოთხედფინალის მეტად საპასუხისმგებლო მატჩები ელით და ახლა ინტენსიურად ემზადებიან. დრო ბევრი აღარ დარჩა, მაგრამ, ვფიქრობთ, იმ შემადგენლობებში, გუნდები რომ ამ საწვრთნელ მატჩში წარდგნენ მაყურებელთა წინაშე, აუცილებლად მოხდება ცვლილებები. ეს განსაკუთრებით ეხება “სპარტაკს”, რომელსაც საკმაო პრობლემები აქვს დაცვის რგოლში, ვერც პრუდნიკოვი იდგა კარში მთლად საიმედოდ. ინდივიდუალური საშემსრულებლო და კოლექტიური ურთიერთმოქმედების თვალსაზრისითაც სპარტაკელთა უკანა ხაზებში ბევრი რამაა მოსაგვარებელი.

დინამოელთა მისამართით მხოლოდ კარგს ვიტყვით. ამ მატჩში გუნდი შეთანხმებულად, მონოლითურად გამოიყურებოდა. დაუზარებლად მუშაობდა უკლებლივ ყველა, გატანილი გოლების გარდა “სპარტაკის” საჯარიმო მოედანზე სხვა მეტად სახიფათო მომენტებიც მრავლად შეიქმნა, იერიშში მონაწილოებას არც მკცველები აკლებდნენ ხელს, რა თქმა უნდა, ჩივაძის აქტიური წინამძღოლობით. გაბელიას დიდი სამუშო არ ჰქონია, მაგრამ ერთ მომენტში მან თითქმის უიმედო ბურთი მოიგერია.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ყიფიანის შესანიშნავი თამაში, ორგანიზატორული თვისებები, მაღალი ტექნიკა, ამას გარდა დინემოლებს ღირსეულად აუბა მხარი ქუთისის “ტორპედოდან” ახლახან გადმოსულმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ზაურ სვანაძემ.

მასპინძლებმა მეტოქეს დასაწყისშივე ენერგიულად შეუტიეს, შენგელიას ორჯერ მიეცა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა, მე–11 წუთზე კი მან თავისი შანსი არ გაუშვა ხელიდან – 1:0.

მე–18 წუთზე სპარტაკელთა მცველებმა ელემენტარულ სიტუაციაში ვერ გაითამაშეს ბურთი, მას დაეუფლა იგივე შენგელია და პრუდნიკოვს მეორედ მოუხდა ბურთის გამოტანა ბადიდან – 2:0.

ტაიმის დასასრულს მოსკოველებმა უხეშად ითამაშეს შენგელიას წინააღმდეგ, დაინიშნა 11–მეტრიანი, ყიფიანმა ზუსტად დაარტყა – 3:0.

შესვენების შემდეგ ჟვანიამ ძნელი მდგომარეობიდან, მოტრიალებით დაარტყა კარში, პრუდნიკოვი შეცდა (4:0), ხოლო შემდეგ ჩელებაძემ ცარიელ კარში გაგზავნა მეხუთე ბურთი.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 24 თებერვალი, 1981 წ.